საიდ. N 80173/03

IR 1227595

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N10-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „უსკ იპ ლიმიტიდ“ (USC IP Limited) N10-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის N3155/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „SOVIET“ (საიდ. N80173/03, IR 1227595) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (25-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის N3155/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული ნიშანი „SOVIET” ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „საბჭოთა“. აღნიშნული ნიშანი მომხმარებელში გამოიწვევს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (შემოკლებით სსრკ, საბჭოთაკავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) ასოციაციას. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტია“ პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს, კერძოდ ზემოაღნიშნული კანონის მიზანია „საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა”. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალისათვის, რადგან არ იქნეს დარღვეული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ნიშნის რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 25-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „უსკ იპ ლიმიტიდ“ (USC IP Limited) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, აღნიშვნა „SOVIET“ ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც ხალხის მიერ არჩეული საბჭო, რომელიც წარმოდგება რუსული სიტყვისაგან „СОВЕТ“ – „საბჭო“ და არის არა მარტო საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული სახელმწიფო მმართველობითი ორგანოს დასახელება, არამედ რევოლუციამდელ რუსეთში არსებული სახელმწიფო მართვის ორგანოს - „სახელმწიფო საბჭო“ დასახელება. იგი აგრეთვე, წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული არჩევითი ორგანოს დასახელებას, მაგალითად, ირლანდიაში 1919 წელს დაარსებული ლიმერიკის საბჭო (Limerick Soviet), 1919 წელს ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკა (Bavarian Soviet Republic), 1920 წელს ინგლისურმა გაზეთმა Worker's Dreadnought დაბეჭდა „ბრიტანეთის საბჭოს კონსტიტუცია“ (A Constitution for British Soviets) კომუნისტური პარტიის (მესამე ინტერნაციონალის ბრიტანეთის სექცია) სამოქმედოდ. აქედან გამომდინარე, აღნიშვნის „SOVIET“ გაიგივება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან არ არის მართებული და დადასტურებული. აპელანტის პოზიციით, გაუგებარია, ნიშნის რეგისტრაციის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას, რატომ დაეყრდნო ექსპერტიზა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს და „თავისუფლების ქარტია“-ს, რომლის მიზანია „...საერთაშორისო სტანდარტების, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის ნორმების ეფექტიანი ამოქმედება და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო

ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრა, აგრეთვე, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა“, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ეროვნული ღირსებებისა და ზნეობრივი ნორმების შეურაცხმყოფელი სიმბოლოების დადგენასა და მათ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციასთან, არამედ, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფოს უშიშროების დასაცავად. წინა აბზაციდან გამომდინარე, აღნიშვნა „SOVIET“ არ წარმოადგენს არც კომუნისტურ ტოტალიტარულ და ფაშისტურ სიმბოლიკას და არც ამ იდეოლოგიების მატარებელ და პროპაგანდისტურ საშუალებას. აპელანტის მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოს სახელწოდებას განვიხილავთ, როგორც „თავისუფლების ქარტია“-ს პირველი მუხლით განსაზღვრულ ობიექტს, იგი ასეთ ობიექტად მიჩნეულ უნდა იქნას მხოლოდ „თავისუფლების ქარტიის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია აგროვებს ინფორმაციას „...ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე, მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს...“, ხოლო მე-6 პუნქტის თანახმად, მხოლოდ კომისიის მიმართვის საფუძველზე შეიძლება აღმოიფხვრას კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა. აპელანტის განმრატებით, გასათვალსიწინებელია ასევე, სადავო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების ფაქტები მსოფლიოს სხვდასახვა ქვეყანაში, რომელთა საპატენტო უწყებებმა არ მიაკუთვნეს სადავო ნიშანი საბჭოთა / ფაშისტური სიმბოლიკების რიცხვს (გარდა ერთადერთი ქვეყნისა - მოლდოვა). ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქპატენტი არ არის ის ორგანო, რომელიც ცნობს აღნიშვნას „SOVIET“, როგორც კომუნისტურ ტოტალიტარულ სიმბოლოს, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და

ზნეობრივ ნორმებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის N3155/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „SOVIET“ (საიდ. N80173/03, IR 1227595) დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N10-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „შეურაცხყოფს ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი SOVIET (საიდ. N80173/03, IR 1227595) ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებსა და ზნეობრივ ნორმებს. კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ნიშანი არ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის სიმბოლიკასთან და იგი წარმოადგენს მმართველობითი ორგანოს დასახელებას. კოლეგია თვლის, რომ მართალია ცალკე აღებული სიტყვა „SOVIET” ქართულად ითარგმნება, როგორც „საბჭო“, მაგრამ ნიშანი სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს გამოსახულებით ელემენტს - ხუთქიმიან ვარსკვლავს, რომელიც ასევე წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სიმბოლიკას. შესაბამისად, ხუთქიმიან ვარკსვლავთან ნიშნის სიტყვიერი ნაწილის „SOVIET” კომბინაცია ქმნის ასოციაციას საბჭოთა კავშირთან. კოლეგიას მიაჩნია, რომ

საქართველოს კანონმდებლობიდან და საჯარო წესრიგიდან გამომდინარე, დაუშვებელია ისეთი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია, რომელშიც გამოყენებულია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკა. რაც შეეხება საქართველოს კანონს „თავისუფლების ქარტია“, აღნიშნული კანონი გამოიყენება არა მისი ნორმატიული შინაარსის მიხედვით, არამედ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის განმარტებისათვის და იმის შესაფასებლად, რომ განცხადებული სიმბოლო ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებსა და საჯარო წესრიგს. საქართველოს კანონი - „თავისუფლების ქარტია“ ადგენს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრას, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვას. კერძოდ, საქართველოს კანონის - „თავისუფლების ქარტია“ მიზანია კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის აღმოფხვრა, აგრეთვე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა. აღნიშნული კანონის თანახმად, კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა არის ისეთი სიმბოლიკა, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს. ხოლო კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგია - ისეთი იდეოლოგიაა, რომელიც ხასიათდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევით, მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმით, ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობებითა და განადგურებით, საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილით დასჯით, შიმშილობითა და დეპორტაციით, წამებითა და მონური შრომით, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნით და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშანს „SOVIET“ (საიდ. N80173/03, IR 1227595) უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე საქართველოში „სასაქონლო ნიშნების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „უსკ იპ ლიმიტიდ“ (USC IP Limited) N10-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის N3155/03 ბრძანება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი